ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1823629

ნომერი: AR1298184

თარიღი : 31.03.2015

გაცემის თარიღი : 08.04.2015

გაცნობის თარიღი : 08.04.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჯიქია , N 7 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ჯიქია , N 7 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან აფციაური პ/ნ 01019000173
- თბილისი ს.მგალობლიშვილის ქ. N 3 ბ. 35

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1442643
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 21.08.2014

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

თქვენს მიერ წარმოდგენილ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მშენებლობადამთავრებული ობიექტის ექპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ 22.10.2014 წლის №ბ-12/1424553-16 ბრძანებაში აღნიშნულია, რომ "ა" ბლოკში არ არის მოწყობილი პროექტით გათვალისწინებული პანდუსი შშმპ–თათვის (რასთან დაკავშირებითაც 2015 წლის 24 მარტის №12/1424553-16 ბრძანებაში არ ფიქსირდება რომ გამოსწორდა).
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დადგენილი სანებართვო პირობების დარღვევით/შეუსრულებლობით განხორციელებული მშენებლობა ქალაქგეგმარებით პირობებთან შეუსაბამობაშია და სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით პირობებთან შესაბამისობის დადასტურების შესახებ.
თქვენი მხრიდან ზემოაღნიშნული ხარვეზების გასწორებისა და შემდგომ ზედამხედველობის საქალაქო სასახურის ბრძანებაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შემთხვევაში სამსახური განმეორებით დაუბრუნდება საკითხის განხილვას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.